აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/92 7.12.2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ადგილმონაცვლე წევრის შუალედური არჩევნების დანიშვნის შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი1. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩატარდეს აკადემიური საბჭოს ადგილმონაცვლე წევრის შუალედური არჩევნები.

მუხლი 2. არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 20 დეკემბერს 12 საათიდან 16 საათამდე, მისამართი - ახალგაზრდობის გამ. N98, აწსუ XI კორპუსი, აუდიტორია N 305

მუხლი 3. აკადემიურ საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 8 დეკემბერს და დასრულდეს 2017 წლის 16 დეკემბერს14.00 საათზე.

მუხლი 4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

მუხლი 5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, პირველი კორპუსი, ოთახი №1138, 10.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე.

მუხლი 6. აკადემიურ საბჭოში არჩევის მსურველებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

ბ) ცნობა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან აკადემიური თანამდებობის შესახებ;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

მუხლი 7. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

მუხლი 8. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას და ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

მუხლი 10. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით 16 საათამდე.

მუხლი 11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: მინდია ბერეკაშვილი